Momxmarebeli.ge ადმინისტრაციას

გავეცანით Momxmarebeli.ge-s ვებ-გვერდზე არსებულ მიმოწერას რომელიც მიმდინარეობდა საიტის ადმინისტრატორ- ლია. CSRDG-სა და მომხმარებელ Irakli-ს შორის

კერძოდ :

Irakli (00:47:24/ 2015-07-31) : გამოქვეყნებულ ინფორმაციაში წერთ: ლაბორატორიიდან მიღებული პასუხების მიხედვით ნაყინის "საოჯახო ვანილი პინგო" მიკრობიოლოგიური პარამეტრები ნორმაშია; თუმცა, საპირისპირო დასტურდება ატვირთული დასკვნით: "საოჯახო ვანილი პინგო" აღმოჩნდა დაბინძურებული კოლიფორმებით ანუ ზუსტად იდენტური დასკვნაა როგორც "პლომბირი გურჯაანის ნაყინი"; რითი ავხსნათ თქვენი ეს ქმედება?!

file_436378.pdf

ლია CSRDG (12:26:40/ 2015-07-31) : მადლობთ შენიშვნისთვის. სტატიის მომზადებისას გაიპარა ეს შეცდომა. გავასწორეთ.

Irakli (14:40:35 / 2015-07-31) : ამ "შეცდომის" გასწორებას თუ აპირებთ თქვენს მიერ მედიით გავრცელებულ ინფორმაციაში?

ლია CSRDG (14:56:30 / 2015-07-31) : მივწერეთ პალიტრა-ტვ-ს დამატებით გაავრცელონ ეს ინფორმაციაც. სხვაგან ჩვენ ინფორმაცია არ გაგვივრცელებია.

ლია CSRDG(07:41:30 / 2015-08-01) : ამ შემოწმების პასუხებზე ვისაუბრე მხოლოდ პალიტრის გადაცემა "საქმეში". "პინგოს" მოხსენიება გამომრჩა. ვთხოვეთ პალიტრას იგივე საშუალებით გაავრცელოს გასწორებული ინფორმაცია. სამწუხაროდ "საქმე" სექტემბრამდე არდადეგებზეა. ამიტომ მათმა სააგენტომგამოაქვეყნა გასწორებული ინფორმაცია თავის ვებ-გვერდზე. თუ თქვენი მოთხოვნა იქნება, ინტერვიუსაც ჩაწერენ ჩემთან, სადაც ამ ყოველივეს მოვყვები.

ასევე ვებგვერდზე აღნიშნულ კომენტარებში ვაწყდებით, მომხმარებელ ნიკას მიერ ირაკლის მისამართით დასმულ შეკითხვას:

ნიკა (14:29:23/ 2015-07-31) : ირაკლი თქვენც არასამთავრობო ხართ თუ რომელიმე კომპანიის წარმომადგენელი ?

Irakli (14:38:28/ 2015-07-31) : მე შპს "აისის" წარმომადგენელი ვარ.

აღნიშნულ მიმოწრეასთან დაკავშირებით გთხოვთ კონკრეტულად გაგვცეთ პასუხი რამოდენიმე კითხვაზე:

1. რამდენად არის უფლებამოსილი მომხმარებელი მოგცეთმითითება ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსებასტან დაკავშირებით?
2. რამდენად ხართ თქვენ უფლებასმოსილი ან ვალდებული მისივე მითითებით შეცვალოთ დაამატოთ ვებ-გვერდზე რაიმე სხვა ინფორმაცია?
3. აღნიშნულ კომენატრებიდან ირკვევა, რომ მომხამრებელი ირაკლი არის შპს „აისის“ წარმომადგენელი ადასტურებთ თუ არა ამ ფაქტს და რას წარმოადგენს აღნიშნული პიროვნება, რომ მისიმითითებით ცვლით ან ასწორებთ ინფორმაციას მაშინ, როდესაც თქვენ თავად ხართ ვალდებული დარწმუნდეთ ინფორმაციის სისწორეში სანამ ამ ინფორმაციას ვებგვერდზე განათავსებთ?
4. იმ შემთხვევაში თუკი მომხამარებელი ირაკლის მიერ არ მოხდებოდა ინფორმაციის დამატების მოთხოვნა შესაძლბელი იყო თუ არა, რომ თქვენს მიერ აღარ მომხადრიყო ამ ინფორმაციის განთავსება ვებ-გვერდზე?